

ცხოვრება ორაზროვანი დანაკარგით: თეორიული ჩარჩო და ძირითადი ცნებები

ოდელავაძე მარიამ¹, ხეჩუაშვილი ლილი², მარწყვიშვილი ხათუნა³, ფანჯიკიძე მარიამ⁴
 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 ილია ჭავჭავაძის გამზ. 118 0179 თბილისი, საქართველო^{1,2,3,4}

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ორაზროვანი დანაკარგის თეორიული მოდელი. კერძოდ, აღწერილია ისეთი ძირითადი ცნებები და კონსტრუქტები, როგორებიცაა ორაზროვანი დანაკარგი და საზღვრების ორაზროვნება. ასევე, საუბარია ორაზროვანი დანაკარგისა და პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ურთიერთმიმართების საკითხზე. გარდა ამისა, ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობა აღწერილია ინდივიდის, ოჯახისა და თემის დონეზე. ბოლოს, განხილულია მედეგობა, როგორც ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობასთან გამკლავების და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების უნარი.

საკვანძო სიტყვები: ორაზროვანი დანაკარგი, საზღვრების ორაზროვნება, მედეგობა

ორაზროვანი დანაკარგის ცნება (Boss, 1999) აღწერს სიტუაციებს, სადაც დანაკარგი არ არის დასრულებული, არ აქვს ნათელი და მკაფიო საზღვრები და უკავშირდება ინდივიდის კარგად ყოფნის განცდასა და სტრესის მართვას ოჯახურ გარემოში. ორაზროვანი დანაკარგი განსხვავდება ისეთი ნორმატიული ცხოვრებისეული მოვლენებით გამოწვეული დანაკარგისაგან, როგორიცაა გარდაცვალება. ოჯახის წევრის ან ახლობელი ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში დანაკარგი ნათელია. ადამიანები თანხმდებიან, რომ ეს მოხდა და მონაწილეობენ შესაბამის რიტუალებში. ორაზროვანი დანაკარგის შემთხვევებს მსგავსი სიცხადე არ ახასიათებს.

ორაზროვანი დანაკარგის თეორიის განვითარება გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან პოლინ ბოსის კლინიკური დაკვირვებით დაიწყო, რომელიც შემდგომში ემპირიულ კვლევებსა და თეორიის შემუშავებაში გადაიზარდა. კვლევები მოიცავდა ოჯახებს ფიზიკური (მაგ., დაკარგული ჯარისკაცები, გატაცებული ბავშვები) (Boss, 1975, 1977; Fravel & Boss, 1992) და ფსიქოლოგიური (მაგ., ალცჰაიმერის დაავადება და დემენციის გამომწვევი სხვა დაავადებები) დანაკარგით (Boss, Caron, & Horbal, 1988; Boss, Caron, Horbal, & Mortimer, 1990; Boss & Couden, 2002; Caron, Boss, & Mortimer, 1999; Garwick, Detzner, & Boss, 1994; Kaplan & Boss, 1999). დღესდღეობით, ორაზროვანი დანაკარგის შესახებ ცოდნა თეორიის ემპირიული გადამოწმებით იზრდება და აქტუალობას იძენს.

წინამდებარე სტატიის მიზანი ორაზროვანი დანაკარგის თეორიული მოდელის მიმოხილვაა. სტატიაში განხილულია ისეთი ძირითადი ცნებები და კონსტრუქტები, როგორებიცაა ორაზროვანი დანაკარგი და საზღვრების ორაზროვნება, როგორც ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობის, ისე – ოჯახის საზღვრების თვალსაზრისით, ასევე, მიმოხილულია ორაზროვანი დანაკარგისა და პოსტტრავმული სტრესული

აშლილობის ურთიერთმიმართების საკითხები. გარდა ამისა, ვნახავთ, როგორ შეიძლება მოქმედებდეს ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობაში ყოფნა ინდივიდის, ოჯახისა თუ თემის დონეზე. ასევე, შევხებით მედეგობას, როგორც ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობასთან გამკლავებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების უნარს.

ორაზროვანი დანაკარგი

ორაზროვანი დანაკარგი არის მდგომარეობა, როდესაც ცალსახად არ არის განსაზღვრული კონკრეტული ადამიანის ყოფნა-არ ყოფნის საკითხი. ბოსი (1999) აღწერს ორი ტიპის ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობას. ერთ შემთხვევაში ინდივიდი ფიზიკურად არ არის ოჯახის გვერდით, თუმცა კვლავ არსებობს ფსიქოლოგიურ დონეზე, მაგალითად, საყვარელი ადამიანი უგზო-უკვლოდ არის დაკარგული, გატაცებულია ან გაუჩინარებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოჯახის წევრი ფიზიკურად აღარ არის ოჯახის სისტემის ნაწილი, მაგრამ აგრძელებს ფსიქოლოგიურ დონეზე არსებობას, რადგან არ არსებობს მისი, როგორც გარდაცვლილის ან ცოცხალის შესახებ ზუსტი ინფორმაცია. ამ ტიპის დანაკარგის მაგალითები შეიძლება იყოს როგორც კატასტროფული (დაკარგული ჯარისკაცი, რომლის სხეული არ არის აღმოჩენილი), ასევე უფრო ჩვეული სიტუაციები (განქორწინება, გაშვილება, მიგრაცია).

ორაზროვანი დანაკარგის მეორე ტიპის შემთხვევაში საყვარელი ადამიანი მიუწვდომელია ფსიქოლოგიურად მიუხედავად იმისა, რომ ის ფიზიკურად კვლავ არსებობს (Boss, 1999). ამ შემთხვევაში ადამიანი ემოციურად და/ან კოგნიტურად იკარგება. ამ მდგომარეობის კლასიკური მაგალითები შეგვიძლია დავინახოთ დემენციის, ადიქციის, ქრონიკული ფსიქიკური დაავადებისა და ნოსტალგიის შემთხვევებში. სწორედ ამ ტიპის დანაკარგის მდგომარეობად იქცევა ოჯახის წევრის ალცჰაიმერის დაავადება, ტვინის ტრავმული დაზიანება, კომა, ქრონიკული ფსიქიკური აშლილობა, დეპრესია, აუტიზმი და ადიქცია. უფრო ჩვეული სიტუაციებია გადაჭარბებული აკვირება სამსახურით ან ვიდეო თამაშებით გატაცება. ორივე ტიპის ორაზროვანი დანაკარგი შესაძლოა გამოვლინდეს ერთდროულად როგორც ინდივიდის, ისე – ოჯახის დონეზე (Boss, 2010).

ორივე ტიპის ორაზროვანი დანაკარგის შემთხვევაში, ინდივიდებს ჩვეული მკაფიო დანაკარგისგან განსხვავებულ მდგომარეობასთან გამკლავება უწევთ (Boss, 1999). ყველაზე მკაფიო დანაკარგის შემთხვევა გარდაცვალებაა, როდესაც არსებობს ფორმალური დასტური - გარდაცვალების ცნობა, დაკრძალვის ცერემონიალი და მასთან დაკავშირებული რიტუალები, იქნება ეს სასაფლაოზე დაკრძალვა თუ ფერფლის მიმოფანტვა. ამ შემთხვევაში ყველა თანხმდება იმაზე, რომ განსაზღვრული დანაკარგის წინაშე დგანან და იწყება გამოგლოვება. ამისგან განსხვავებით, ორაზროვანი დანაკარგის შემთხვევაში გლოვა არ/ვერ იწყება, რაც სიტუაციის თავისებურებით არის განპირობებული. ამგვარი ორაზროვანი მდგომარეობის დაძლევა შეუძლებელია გარე სიტუაციის და არა – შიდა პიროვნული ფაქტორების გამო. გარეშე ძალა, რომელიც ყინავს მწუხარებას, არის დანაკარგის გაურკვეველობა და ორაზროვნება.

ბოსი (1999) აღნიშნავს: „სიკვდილისგან განსხვავებით, ორაზროვანმა დანაკარგმა შეიძლება არ დაუშვას იმ მიჯაჭვულობის რღვევა (detachment), რომელიც აუცილებელია მდგომარეობის დასრულებისთვის/დახურვისთვის (closure). გარდა იმისა, რომ ორაზროვნება ართულებს დანაკარგის მდგომარეობას, ის მწუხარების პროცესსაც

აფერხებს. ადამიანები ვერ იწყებენ გლოვას, რადგან სიტუაცია განუსაზღვრელია. მდგომარეობა განიცდება როგორც დანაკარგი, მაგრამ დანამდვილებითაც არა. დაბნეულობა ყინავს გლოვის პროცესს. ადამიანები ინაცვლებენ იმედიდან უიმედობამდე და პირიქით.“ (გვ. 10-11).

ორაზროვანი დანაკარგი არის ფსიქოლოგიური პრობლემა, იმდენად რამდენადაც არსებობს უმწეობის განცდა, რომელიც მიდის დეპრესიამდე, პასიურობამდე, ამბივალენტურ შეგრძნებებამდე, რომელიც, თავის მხრივ იწვევს დანაშაულის განცდას, შფოთვის და დემობილიზაციას. გადაუჭრელი სიტუაცია ბლოკავს კოგნიციას, დამღევას, სტრესის მართვის უნარებსა და ყინავს გლოვის პროცესს (Boss, 1999). ორაზროვანი დანაკარგით გამოწვეული სიმპტომები დაუსრულებელი სტრესის შედეგია, რაც პასუხების გარეშე ცხოვრებას უკავშირდება. ეს არ არის ფსიქიკური ან ოჯახის სისუსტე (Boss, 2004).

საზღვრების ორაზროვნება

ნებისმიერ გარდამავალ ეტაპზე, ნორმატიულ თუ არანორმატიულ შემთხვევაში, ოჯახმა უნდა გადახედოს თავის შიდა და გარე საზღვრებს, რომელიც ოჯახის წევრების ოჯახის სისტემიდან გასვლასა და/ან დარჩენას უკავშირდება (Daneshpour, 2017). ეს პროცესი წარმოქმნის სტრესს ოჯახში, რადგან სერიოზული გამოწვევაა ოჯახისთვის: ოჯახი, როგორც მთლიანი სისტემა, საზღვრების შენარჩუნების რთულ ამოცანას უნდა გაუმკლავდეს.

ბოსი (2002) განსაზღვრავს საზღვრების ორაზროვნებას, როგორც მდგომარეობას, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც არანორმატიული, ისე ნორმატიული სტრესული მოვლენებით. ამ დროს ოჯახის წევრები არ არიან გარკვეულები, ვინ არის ოჯახში და ვინ - არა, ასევე, ვინ რა როლსა და ამოცანას ასრულებს ოჯახის სისტემაში. ზოგიერთ სტრესულ სიტუაციაში ოჯახი პრობლემური სიტუაციის გარშემო არსებული ყველა ფაქტის მიღებას ვერ შეძლებს (Boss, 2002). ორივე ტიპის ორაზროვან დანაკარგს ახლავს გაუკვევლობის ხარისხი. ინდივიდები პასუხებს ეძებენ კითხვებზე: ოჯახის დაკარგული წევრი ცოცხალია თუ არა? რა განვითარება შეიძლება ჰქონდეს დაავადებას, რომლის განკურნებაც შეუძლებელია? გაურკვევლობა ხელს უშლის ოჯახს, სიტუაცია იმდენად ნათლად განსაზღვროს, რომ იცოდეს, როგორ მოიქცეს.

ორაზროვანი დანაკარგის ორივე მდგომარეობას აქვს პოტენციალი, წარმოქმნას საზღვრების მაღალი ხარისხის ორაზროვნება და გამოწვიოს ნეგატიური შედეგები (Boss, 2004). საზღვრების ორაზროვნება შეიძლება ისეთ ფორმებს იღებდეს, როგორებიცაა მშობლის როლის იგნორირება, გადაწყვეტილებების მიღების უნარის დაკარგვა, ყოველდღიური მიმდინარე ცხოვრებისეული ამოცანების გადაჭრის უუნარობა, რიტუალებისა და დღესასწაულების გაუქმება და ა. შ., რაც, ნორმალურ პირობებში, ოჯახური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ორაზროვანი დანაკარგის ყველა სიტუაცია არ იწვევს საზღვრების მძლავრ ორაზროვნებასა და სხვა მასთან ასოცირებულ პრობლემებს. ოჯახის წევრის გაუჩინარების მიუხედავად, ზოგიერთი ოჯახი ან ცალკეული წევრი საკმაოდ ნათლად ხედავს საკუთარი ოჯახური სისტემის საზღვრებს, როგორც ეს, მაგალითად, 9/11-ის შემდეგ მოხდა. მომხდარი ტრაგედიის დროს უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული ადამიანების შვილები მოგვიანებით ბიძებს და დეიდებს აღიქვამდნენ მშობლებად. ის

ადამიანები, რომლებმაც რომანტიული პარტნიორები დაკარგეს, საკუთარ თავს დაკარგული ადამიანის მეუღლეებად და შემდეგ ქვრივებად აღიქვამდნენ.

კვლევამ აჩვენა (Mu, Kuo, & Chang, 2005), რომ საზღვრების ორაზროვნება უარყოფითად უკავშირდება დაძლევის პატერნებსა და ფსიქიკური კარგად ყოფნის განცდას ეპილეფსიის მქონე ბავშვების დედებში. დანაკარგი ართულებს მიმდინარე და სამომავლო ემოციური და სტრუქტურული საზღვრების განსაზღვრას (Solheim et al., 2016). ოჯახის ოპტიმალური ფუნქციონირებისა და ინდივიდუალური წევრების კარგად ყოფნის განცდასა და ერთმანეთთან ურთიერთობის შენარჩუნებისთვის აუცილებელია, რომ ოჯახის წევრებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ ოჯახის იდენტობისა და ოჯახის თითოეული წევრის როლის შესახებ ოჯახის სისტემაში (Solheim et al., 2016).

საზღვრების ორაზროვნების დროს ოჯახის აღქმასა და რეაგირებაზე გავლენას ახდენს კულტურული ღირებულებები (Daneshpour, 2017). პირველ რიგში, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელ ოჯახებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ოჯახის წევრის სისტემიდან გასვლისა თუ დარჩენის შესახებ. მაგალითად, ზოგიერთ კულტურაში მშობლები შეიძლება თავიანთ მარცხად თვლიდნენ, თუ შვილი ცალკე არ გადავა საცხოვრებლად და არ გახდება დამოუკიდებელი, სხვა კულტურებში კი – პირიქით. ზოგიერთ კულტურაში ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობა შედარებით დემოკრატიულია. სხვების შემთხვევაში, იერარქია და მშობელსა და შვილს შორის დისტანცია უფრო ფასობს. ამრიგად, ოჯახის დატოვებას თუ ოჯახში დარჩენას შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს სხვადასხვა კულტურაში და რაც ერთგან ორაზროვნებად შეიძლება ჩაითვალოს, მეორეგან არ იყო ამავე მნიშვნელობის მატარებელი.

ფსიქოლოგიური ოჯახი

ფსიქოლოგიური ოჯახი გულისხმობს ინდივიდის ძირითად რწმენებს იმის შესახებ, თუ ვინ არიან კონკრეტული ოჯახის წევრები (Boss, 2006). მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი ხშირად განისაზღვრება, როგორც ბიოლოგიური და სამართლებრივი ერთეული, ის ფსიქოლოგიურად შეიძლება იყოს (Boss, 2011). ფსიქოლოგიურ ოჯახში შეიძლება იგულისხმობდეს ის ოჯახი, სადაც დავიბადეთ, მაგრამ, შესაძლოა, ეს ის ადამიანებიც იყვნენ, ვის გვერდით ყოფნასაც ვირჩევთ მნიშვნელოვან დროს. ეს ის ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფია, ვისთან საუბარიც გვსურს ცუდ ან კარგ მომენტებში. შესაბამისად, ფსიქოლოგიური ოჯახი შეიძლება შედგებოდეს მეგობრებისგან, მეზობლებისგან, რელიგიური ჯგუფის წევრებისგან. როდესაც ბიოლოგიური ოჯახი არ არის მისაწვდომი, სწორედ ეს ადამიანები გვთავაზობენ სოციალურ მხარდაჭერას.

ორაზროვანი დანაკარგის შემთხვევაში, სიკვდილის დამადასტურებელი საბუთის გარეშე, საყვარელი ადამიანი ისევ განაგრძობს არსებობას (Boss, 2006). ფსიქოლოგიური ოჯახის წევრები შეიძლება არ იყვნენ ფიზიკურად წარმოდგენილი ინდივიდის ცხოვრებაში. როდესაც კონკრეტული ადამიანი ოჯახის სისტემიდან ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად იკარგება, ფსიქოლოგიური ოჯახის განცდა ძლიერდება. ამ დროს ორგვარი განვითარება შეიძლება არსებობდეს. პირველი, ისეთმა ფიზიკურმა და ფსიქოლოგიურმა დანაკარგმა, როგორც ბუნებრივი კატასტროფა და დემენციაა, შეიძლება სრულიად უმოქმედო გახადოს ადამიანი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის არ კარგავს იმედს, რომ ეს ადამიანი დაბრუნდება ან გამოჯანმრთელდება. სიტუაციას

შეიძლება ართულებდეს ფიზიკურად ან გონებრივად დაკარგულ ადამიანზე გადაჭარბებული ფიქრი, რაც შეიძლება აწმყოში მყოფ ადამიანებსაც აშორებდეს ადამიანს.

მეორე, შესაძლებელია ფსიქოლოგიური ოჯახი ორაზროვან დანაკარგთან გამკლავების საშუალებად მოგვევლინოს და უმოქმედობის საპირისპიროდ მოძრაობისა და წინსვლის მოტივატორი გახდეს (Boss, 2006). ფიზიკური განცალკევების მიუხედავად, ფსიქოლოგიურ ოჯახზე ფიქრმა და გონებაში გაცოცხლებამ, შეიძლება რთულ პერიოდებში დახმარება გაუწიოს ადამიანს და მარტოსულად არ აგრძნობინოს თავი.

მაშასადამე, ფიზიკურად თუ გონებრივად გაუჩინარებული ადამიანები ხშირად ფსიქოლოგიურად ისევ ჩვენთან რჩებიან. ოჯახის ფიზიკურად მოცემული სტრუქტურა კი შეიძლება სრულად განსხვავდებოდეს ფსიქოლოგიური მოცემულობისგან. ოჯახის ფსიქოლოგიური გაგება გამოსადეგი შეიძლება აღმოჩნდეს ორაზროვან დანაკარგთან გამკლავებისთვის. ფიზიკურად გაუჩინარებული ოჯახის წევრი საყვარელი ადამიანების გონებაში განაგრძობს არსებობას. ფიზიკურად წარმოდგენილი, მაგრამ ფსიქოლოგიურად გაუჩინარებული ოჯახის წევრი, ჯერ კიდევ აქ არის და მონაწილეობს ოჯახურ პროცესებში.

ორაზროვანი დანაკარგი და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა

ბოსი (Boss, 1999) პარალელს ავლებს ორაზროვან დანაკარგსა და პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას შორის, რადგან ორაზროვანი დანაკარგი მატრავმირებელია და დაუსრულებელი მწუხარების სიმპტომები ჰგავს პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას (პტსა). პტსა ფსიქოლოგიურად სტრესული მოვლენით გამოწვეული აშლილობაა, რომელიც ნორმალურ ადამიანურ გამოცდილებას სცდება. ეს მოვლენა კვლავ გამოცდილებაშია, საწყისი მოვლენიდან წლების გასვლის შემდეგაც კი. ორაზროვანი დანაკარგიც მატრავმირებელი მოვლენაა, რომელიც ნორმალური ადამიანური გამოცდილების მიღმაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ტრავმა (ორაზროვნება) განაგრძობს არსებობას. ის არაფრის „შემდგომი“ არ არის.

ორაზროვანი დანაკარგი, როგორც წესი, განგრძობითი სიტუაციაა, რომელიც ინდივიდის ტრავმირებასა და დემობილიზაციას ახდენს, და არა – კონკრეტული მოვლენა, რომელსაც შემდგომში აქვს ფლემშბექ (flashback) გამოვლინებები. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ პტსა-ს და ორაზროვანი დანაკარგის შედეგები ერთი შეხედვით, ერთმანეთის მსგავსია, ბოსი (1999) მიიჩნევს, რომ ეს შედეგები განსხვავებულია: ორივე მათგანი შეიძლება გამოიხატოს დეპრესიით, შფოთვით, შემამფოთებელი სიზმრებითა და დანაშაულის განცდით, მაგრამ ორაზროვანი დანაკარგი უნიკალურია იმით, რომ ტრავმა გრძელდება, რასაც ოჯახები აღწერენ, როგორც მოძრაობას იმედსა და სასოწარკვეთას შორის. იმედები ჩნდება და ნადგურდება იმდენჯერ, რომ ადამიანები უკვე უბრალოდ ვეღარც კი რეაგირებენ ამ ცვლილებებზე.

მედეგობა, როგორც ოჯახის სიძლიერის პერსპექტივა

არც ისე დიდი ხანია, რაც მკვლევრებმა ოჯახის სტრესის შედეგების შეფასება სიძლიერის პერსპექტივიდან დაიწყეს (Bonanno, 2004). რთულ პერიოდში მყოფი

ბავშვებისა და ოჯახების კვლევების საფუძველზე, ოჯახის მკვლევრებმა მედეგობა ოჯახის ადაპტაციის კონცეფციად გამოიყენეს (Boss, 2006; Elder & Conger, 2000; Walsh, 2006). 1970-იანი წლების დასაწყისში მკვლევრები იყენებდნენ ტერმინს „კომპეტენცია“ იმის აღსანიშნად, თუ როგორ იცავდნენ თავს ინდივიდები სირთულეების წინაშე (Price, Price, & McKenry, 2010).

ვინაიდან ტერმინი „მედეგობა“ სათავეს ოჯახის სტრესის თეორიაში იღებს, ის როგორც ინდივიდუალური, ისე ოჯახთან დაკავშირებული ფენომენია. ის განისაზღვრება, როგორც „უბედურებიდან თავის დაღწევის, გაძლიერებისა და მეტი რესურსის მობილიზების უნარი ... ეს არის მოთმინების, თვითაღდგენისა და ზრდის აქტიური პროცესი კრიზისული სიტუაციის და გამოწვევების საპასუხოდ“ (Walsh, 2006, p. 4). გარდა ამისა, ბოსი (2006) აღწერს მედეგობას, როგორც ელასტიურობასა და მოქნილობას ცხოვრებისეული ზეწოლისა და დამაბულობის საპასუხოდ. უფრო ზოგადი თვალსაზრისით, მედეგობა ეხება იმ ოჯახების სტრესის დაძლევის უნარს, რომლებიც, როგორც ჩანს, სარგებელს იღებენ სირთულეებთან დაკავშირებული გამოწვევებიდან; სტრესული მოვლენის წარმატებულად გამკლავების უნარი, როგორც წესი, აისახება იმაზე უკეთესი შედეგების დადგომაში, რომლებიც იქნებოდა სირთულეების არარსებობის შემთხვევაში (Hawley & DeHaan, 1996; Rutter, 1987). სტრესის დაძლევის უნარი შეიძლება განვიხილოთ როგორც მახასიათებელი, რომელსაც ინდივიდი შეიძენს განმეორებითი სტრესული მოვლენის წარმატებული კონტროლის საშუალებით (Masten & Garmezy, 1985).

ოჯახის პათოლოგიური ხედვის ან დეფიციტური მოდელის წარმოდგენის ნაცვლად, მკვლევრებმა (Hawley & DeHaan, 1996; McCubbin & McCubbin, 1988; Walsh, 2006) აქცენტი ოჯახის კეთილდღეობასა და სიძლიერეზე. ჰილის (Hill, 1949) მოდელისგან განსხვავებით, რომელიც ვარაუდობდა, რომ კრიზისის შემდეგ ოჯახების ფუნქციონირების ხარისხი უბრუნდება იმაზე დაბალ ან მაღალ დონეს, რაც იყო კრიზისამდე, მედეგი ოჯახები მოსალოდნელია, რომ უბრუნდებიან იმავე დონეს ან აუმჯობესებენ ფუნქციონირებას (Price, Price, & McKenry, 2010).

დასკვნა

ამრიგად, ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობა ორი განსხვავებული ტიპის დანაკარგით შეიძლება გამოიხატებოდეს, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დანარგით. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ სტრესულ მდგომარეობასთან, რომელიც ხანგრძლივად მიმდინარეობს და არ აქვს დასასრული. მდგომარეობა შეიძლება ხასიათდებოდეს საზღვრების ორაზროვნების სხვადასხვა ხარისხით, რაც მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის, რადგან დაკავშირებულია ოჯახის წევრების მიერ იმის განსაზღვრის შეუძლებლობასთან, თუ ვინ დარჩა ოჯახის სისტემაში და ახლა როგორაა როლები გადანაწილებული. ორაზროვანი დანაკარგის შედეგები აისახება ინდივიდებისა და ოჯახების დონეზე (Boss & Yeats, 2014). ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობის სირთულის მიუხედავად, მედეგ ადამიანებს და ოჯახებს შესწევთ ძალა მოქნილები იყვნენ ამ სიტუაციაში და შეინარჩუნონ ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა.

სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამის „პოზიტიური ფსიქოლოგია-ემპირიული კვლევები“ ფარგლებში [DP2016_16].

გამოყენებული ლიტერატურა:

- Bonanno, G. A. (2004). Loss, trauma, and human resilience: have we underestimated the human capacity to thrive after extremely aversive events? *The American Psychologist*, 59(1), 20–28. <https://doi.org/10.1037/0003-066X.59.1.20>.
- Boss, P. (1975). *Psychological father presence in the missing-in-action (MIA) family: Its effects on family functioning*. Proceedings of the third annual joint medical meeting concerning POW/MIA matters (pp. 61-65). San Diego, CA: Center for Prisoner of War Studies, Naval Health Research Center.
- Boss, P. (1977). A clarification of the concept of psychological father presence in families experiencing ambiguity of boundary. *Journal of Marriage and the Family*, 39, 141-151.
- Boss, P. (1999). *Ambiguous loss: Learning to live with unresolved grief*. Cambridge, MA, US: Harvard University Press.
- Boss, P. (2002). *Family Stress Management: A Contextual Approach*. 2455 Teller Road, Thousand Oaks California 91320 United States: SAGE Publications, Inc. <https://doi.org/10.4135/9781452233895>.
- Boss, P. (2004). Ambiguous Loss Research, Theory, and Practice: Reflections After 9/11. *Journal of Marriage and Family*, 66(3), 551–566. <https://doi.org/10.1111/j.0022-2445.2004.00037.x>.
- Boss, P. (2006). *Loss, trauma, and resilience: therapeutic work with ambiguous loss*. New York: Norton.
- Boss, P. (2010). The trauma and complicated grief of ambiguous loss. *Pastoral Psychology*, 59(2), 137–145. <https://doi.org/10.1007/s11089-009-0264-0>.
- Boss, P. (2011). *Loving Someone Who Has Dementia: How to Find Hope While Coping with Stress and Grief*. San Francisco, CA: Jossey-Bass.
- Boss, P., Caron, W., & Horbal, J. (1988). Alzheimer's disease and ambiguous loss. In C. Chilman, F. Cox, & E. Nunnally (Eds.), *Families in trouble* (pp. 123-140). Newbury Park, CA: Sage.
- Boss, P., Caron, W., Horbal, J., & Mortimer, J. (1990). Predictors of depression in caregivers of dementia patients: Boundary ambiguity and mastery. *Family Process*, 29, 245-254.
- Boss, P., & Couden, B. (2002). Ambiguous loss from chronic physical illness. *Journal of Clinical Psychology*, 58(11), 1351-1360.
- Boss, P., & Carnes, D. (2012). The Myth of Closure. *Family Process*, 51(4), 456–469. <https://doi.org/10.1111/famp.12005>.
- Boss, P. E., & Yeats, J. R. (2014). Ambiguous loss: A complicated type of grief when loved ones disappear. *Bereavement Care*, 33(2), 63–69. <https://doi.org/10.1080/02682621.2014.933573>.
- Caron, W., Boss, P., & Mortimer, J. (1999). Family boundary ambiguity predicts Alzheimer's outcomes. *Psychiatry*, 62, 347-356.
- Daneshpour, M. (2017). Examining Family Stress: *Theory and Research*, 7(28), 7.
- Elder Jr., G. H., & Conger, R. D. (2000). *Children of the land: Adversity and success in rural America*. Chicago, IL, US: University of Chicago Press.

- Fravel, D., & Boss, P. (1992). An in-depth interview with the parents of missing children. In J. Gilgun, K. Daly, & G. Handel (Eds.), *Qualitative methods in family research* (pp. 126-145). Newbury Park, CA: Sage.
- Garwick, A., Detzner, D., & Boss, P. (1994). Family perceptions of living with Alzheimer's disease. *Family Process, 33*, 327-340.
- Hawley, D. R., & DeHaan, L. (1996). Toward a Definition of Family Resilience: Integrating Life-Span and Family Perspectives. *Family Process, 35*(3), 283–298. <https://doi.org/10.1111/j.1545-5300.1996.00283.x>
- Hill, R. (1949). *Families Under Stress: Adjustment to Crisis of war, Separation and Reunion*. New York, Harper and Brothers Publishers.
- Kaplan, L., & Boss, P. (1999). Depressive symptoms among spousal caregivers of institutionalized mates with Alzheimer's: Boundary ambiguity and mastery as predictors. *Family Process, 38*, 85-103.
- Masten, A. S., & Garmezy, N. (1985). Risk, vulnerability, and protective factors in developmental psychopathology. *Advances in Clinical Child Psychology, 1*–52.
- McCubbin, H. I., & McCubbin, M. A. (1988). Typologies of Resilient Families: Emerging Roles of Social Class and Ethnicity. *Family Relations, 37*(3), 247. <https://doi.org/10.2307/584557>.
- Mu, P.-F., Kuo, H.-C., & Chang, K.-P. (2005). Boundary ambiguity, coping patterns and depression in mothers caring for children with epilepsy in Taiwan. *International Journal of Nursing Studies, 42*(3), 273–282. <https://doi.org/10.1016/j.ijnurstu.2004.07.002>.
- Price, S. J., Price, C. A., & McKenry, P. C. (Eds.). (2010). *Families & change: coping with stressful events and transitions* (4th ed.). Los Angeles: SAGE.
- Rutter, M. (1987). Psychosocial Resilience and Protective Mechanisms. *American Journal of Orthopsychiatry, 57*(3), 316–331. <https://doi.org/10.1111/j.1939-0025.1987.tb03541.x>.
- Solheim, C., Zaid, S., & Ballard, J. (2016). Ambiguous Loss Experienced by Transnational Mexican Immigrant Families. *Family Process, 55*(2), 338–353. <https://doi.org/10.1111/famp.12130>
- Walsh, F. (2006). *Strengthening family resilience*, 2nd ed. New York, NY, US: Guilford Press.

Article received 2020-09-13